საქართ. მეშარც. სოც.-ფედ. ხარეგ. პარტიის

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო.

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელი
1 „ 100,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
1 „ 1,000,000 „

№ 455 პარასკევი, აპრილის 27 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული სტატისტიკის ცენტრალი სამმართველო აუწყებს ნაცნობთ და ნათესავთ საყვარელ

**ვავა (ბარბარე) ფაჩნაძის ასულის**

უდროოდ გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. 412 1—1

აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით არსებულ ქართულ დრამატიულ სტუდიის მასწავლებლები და მსმენელი ახალგაზრდობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ნიჭიერ სტუდიელი ქალის, დაუვიწყარ

**ვავა ფაჩნაძის**

გარდაცვალებას.

მაისის პირველიდან
**„ტრიბუნა“**
ეღირება:
თვეში . . . . . . 400.000 მან.
ცალკე ნომერი 20.000 „

## საბჭოთა წყობილებისაკენ.

ჩვენს გამოსვლას საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზედ საბჭოთა წყობილების დამყარებისას, დიდი აურზაურით შეხვდა არა მარტო ისინი, რომელნიც ყოველთვის შორს იყვენ მვენგან, არამედ ისინიც ვინც ჩვენი პოლიტიკური თანამებრძოლი იყო. ჩვენი არსებობა, ჩვენი მუშაობა ზევრს მიაჩნდა ეფემერიულ და წარმავალად.

**მოდიან. მიდიან**—აი ის „პოლიტიკური“ ფორმულა, რომელიც შესთავაზა ქართველ ხალხს მენშევიკურმა და საერთო მემარჯვენე პარტიათა კოალიციამ. ვიღაც უნდა მოვიდეს, ვიღაც უნდა წავიდეს, რაღაც უნდა მოხდეს, დღეს, ხვალ, ზეგ, ამ თვეში, იმ თვეში და სხ. აი ის ჩვეულებრივი ამბები, რომელიც ჯერაც ცოცხალია საზოგადოების მეხსიერებაში.

დღეს ბრმებიც ხედავენ, რომ ჩვენი გზა სწორი გამოდგა.

არასოდეს არ დაგვიმალავს დიდი შეცდომები, აჩქარებული ან დაგვიანებული ნაბიჯები ხელისუფლების. არც ერთი შეცდომის წინაშე არ დაგვიხუჭავს თვალი. არც იმას ვამბობთ, რომ ყოველივე რიგზე იყო და არის, რომ მხოლოდ სიხარული და ნეტარება გვმართებს და მეტი არაფერი. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყოველი რევოლიუციონური პროცესი, ამავე დროს ტკივილების, ტანჯვის და გასაჭირის პროცესისა არის. ეროვნული თავისუფლების ფართოდ დაცვასაც ხელს უშლის ობიექტიური პირობები, მაგრამ პროცესი რევოლიუციის არსებითად არის პროცესი წინსვლის, პროგრესის და ამდენადვე იგი თავდებია ეროვნული თავისუფლების განაღდების. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბუნებრივად მივიღოთ ყოველი სატკივარი და იგი რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით დავფაროთ. არა, პირიქით საჭიროა დიდი შრომა, რომ ჩვენი ხალხის ეროვნული და სოციალისტური გემი სამშვიდობო ნავთსაყუდელში მივიდეს.

დღეს საფრანგეთიდან მომლოდინენი „საქართველოს თავისუფლებისა“ უნდა ხედავდენ, თუ თვალნი მხედველობისათვის აქვთ, რომ საფრანგეთი კულტურულ გერმანეთს ხიშტებით იპყრობს, გერმანელ მუშებს ტყვიით უმასპინძლდება. ყორდანიას ჰალარა ვერ იქნება ისეთი მაგიური თვისების, რომ პუანკარეს იმპერიალისტური სულისკვეთების შეცვლა და მენშევიკების დაფნის გვირგვინით შემოყვანა საქართველოში რეალ ფაქტად აქციოს. ასეთი გზის შეცდომას დღეს მასიურად აღიარებს თვით მენშევიკური პარტიის მუშა-წევრები. ეს უკანასკნელი ფაქტი ზოგს ჰგონია შედეგია იძულებისა. კიდეც, რომ მივიღოთ ეს დებულება, ფაქტი მაინც არ კარგავს მნიშვნელობას. მას მნიშვნელობა ემატება იმ მხრივ, რომ ამ შემთხვევაში იგი აშკარავებს მენშევიკების მასის ოპორტიუნისტულ ხასიათს, უკიდურეს სერვილიზმს.

განა ძალდატანება, იძულება რევოლიუციონერებზე ცარიზმის დროს საკმაო იყო, რომ მათ ხელი აეღოთ თავის პარტიაზედ?

ცხადია საბჭოთა წყობილება თავის თავად არ ყოფილა მიუღებელი. იგი არ არის ისეთი პოლიტიკური ძალა-უფლება, რომელიც ბუნებრივად იწვევდეს რეაქციას მის წინააღმდეგ. ამიტომ არის, რომ დღეს მთელი ხალხია უშუალობით თუ უშვალოდ ჩაბმული თანამშრომლობის პროცესში. ამიტომ არის, რომ „თარგმნითი ლიტერატურას“ მიჰყო ხელი მემარჯვენე პარტიების უხუცესმა წევრებმა და ხელმძღვანელებმა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოთა წყობილება, რომ მართლაც „ჯალათების“ ორგანიზაცია იყოს, მაშინ არა თუ შესაძლებელი იყო ასეთი ლოიალიზმი ამ წყობილების მიმართ, არამედ მის წინააღმდეგ იქნებოდა ამხედრებული მთელი ხალხი და ვერავითარი რეპრესია, ვერავითარი ძალა ვერ შექმნიდა შეგუების პირობებს, შერიგების ფაქტს.

საბედისწერო გზაჯვარედინზედ იდგა საქართველო, როდესაც მის ირგვლივ ერთი მხრივ ანტანტისა და საბჭოთა ქვეყნების ძალები იკრიბებოდა ეს გზა ჯვარედინი გადაიჭრა საბჭოთა წყობილების დამყარებით. მიუხედავად ამისა, ერთი ნაწილი საზოგადოების და განსაკუთრებით ინტელიგენტური მასა, საბედისწერო გზა ჯვარედინზედ იდგა და შავი ზღვისკენ იყო მიპყრობილი მისი თვალები. ესეც დღეს გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. დღეს შავი ზღვის პოლიტიკა ყველასათვის ისე გაშავდა, რომ იქიდან არავინ მოელის გათენებას.

ჩვენ, რომელნიც იმ თავითვე მოვითხოვდით ენერგიულ მუშაობას საბჭოთა წყობილების გამტკიცებისათვის და ამ გზით ეროვნული და სოციალისტური მიზნების მიღწევას, დიდ წინააღმდეგობას ვხვდებოდით დასავლეთით გატაცებულ საზოგადოების მხრივ. დღეს ეს ასე აღარ არის.

ყოველი მოძღვრების გავრცელებას სამი ფასიზი ახასიათებს. პირველად მას ებრძვიან, შემდეგ იგი მოსათმენ და მოსასმენად იქცევა, ხოლო დასასრულს მას აღიარებენ. ამ კანონს ემორჩილება ჩვენი პარტიის განვითარებაც, ჩვენ ყოველი მხრიდან გვებრძოდენ, დღეს ჩვენ გულდამშვიდებით გვისმენენ. პარტიის ცოცხალი ძალები ჩვენ ირგვლივ იკრიბებიან, ხოლო ხვალ ჩვენ მასიურად მიგვიღებენ.

დღეს, როდესაც დასავლეთში სისხლის ღვრა კიდევ გრძელდება და აღმოსავლეთში ცდაა გაბმართული ევროპის მიერ ოსმალეთის ისევ დამონებისა როდესაც მენშევიკების მოგზაურობა მხოლოდ ტურისტულ ხასიათს ატარებს და არა პოლიტიკურს, მემარჯვენე პარტიების რიგები იშლება, საბჭოთა წყობილების დამცველთა კადრი იზრდება ეს ჩვენ გვახარებს, რადგან სხვა გზით შეუძლებელია მშრომელი ხალხის კლასობრივი და ეროვნული თავისუფლების განაღდება.

## ჭრელა

გაზეთები „მუშა“ და „მიწის მუშა“ თავიანთ მეთაურებში ეხებიან ამხ. სტალინის მოხსენებას ეროვნული საკითხის შესახებ და აცხადებენ:

„ჩვენ ბანაკში, იქ სადაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობა მშრომელ ხალხის ხელშია, ეროვნულ დაჩაგვრაზე და დაჯაბნებაზე ლაპარაკი უცნაური რამაა.

მუშათა ხელისუფლება აღორძინდა და გამაგრდა სხვა და სხვა ეროვნებათა მუშათა კლასის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებით“.

მიუხედავად ყოველივე ამისა ეროვნული საკითხი მაინც ცხარე კამათს იწვევს თვით კომუნისტებში, რადგან ეს საქმე არ არის მოწესრიგებული. ერების დაკმაყოფილება მათი უდავო უფლების აღიარებით არ შეიძლება. საჭიროა უფრო რეალური რამ. ავტორს უცნაურად მიაჩნია ეროვნულ ჩაგვრაზე ლაპარაკი ჩვენს პირობებში, მაგრამ რომ ეს უცნაურობა მაინც არსებობს, ეს ცხადია თვით მეთაურში მოყვანილი სტალინის სიტყვებიდან:

..„ჩვენ მივდივართ სრულ თანასწორობისაკენ. ჩვენი ვალია ვეცადოთ შევქმნათ ისეთი წყობილება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის, რომ თვითეული ცალ-ცალკე ერის მუშამ და გლეხმა იგრძნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ეს მისი საკუთარი ლვიძლი საქმეა.

ჩვენ გვჭირდება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი, მაგრამ ეს კავშირი ისეთი სახის უნდა იყოს, რომ ცალკე ეროვნებათა თანასწორობა იყოს არა მარტო უფლებრივი—ეს ხომ იყო, არის და იქნება, არამედ ამ თანასწორობას ჩვენ უნდა ამოუშენოთ ისეთი საფუძველი, რომ ამ უფლებრივმა თანასწორობამ ხორცი შეისხას, და ფრთა გაშალოს.

უფლებრივათ თანასწორი ქვეყანა თუ სხვის ხელში შემყურე იქნა და არ გაიჩინა თავისი საკუთარი მრეწველობა და ალებმიმცემლობა, ასეთ თანასწორობას არავითარი ფასი არ ექნება.

ამიტომ ჩვენ უნდა შეუწყოთ ხელი, რომ თვითეულმა ერმა შექმნას თავისი საკუთარი მრეწველობისა და ალებიმცემლობის კერა.

რა გვაკლია და რა გვიშლის ხელს ამ ჩვენი სწორათ გამოსახული მიზნის განხორციელებაშიო, ჰკითხულობს ამხანაგი სტალინი.

პირველი რუსული შოვინიზმი.

მეორე ჯერჯერობით არსებული უთანასწორობა და

მესამეც ადგილობრივი ნაციონალიზმი“.

„ჩვენ ვაღიარებთ მას, რაც არის ჩვენ წრეში, როგორც ძველი დაწყევლილი დროიდან ნაანდერძევი ავადმყოფობის ნაშთი.

ჩვენ არ ვმალავთ მას. ავადმყოფობა მონახულია და მის მორჩენას ჩვენ ვერავინ გვასწავლის“.

აშკარაა ჯერ-ჯერობით არსებული უთანასწორობა ჩაგვრის მომასწავებელია. არსებული სადამოქნო პოლიტიკაც არ იძლევა იმედებს, რომ სხვისი შემყურე არ ვიქნებით და საკუთარ მრეწველობას შევქნით. რასაკვირველია ყოველივე ეს გამოსწორდება. მაგრამ რად მოსდით მარქსისტებს ასეთი შეცდომები.

კვეხნას რომ თავი გავანებოთ, უნდა აღვიაროთ გულახდილად, რომ კომუნისტებმა ვერც ავადმყოფობა აღმოაჩინეს თვითონ და თავის დროზედ—პირიქით—მალეს სანამდიც შეიძლებოდა, და მორჩენასაც ვერ შესძლებენ, თუ ძალიან ბევრი არ ისწავლეს იმათგან, ვინც თავიდანვე სწორად აშუქებდა ეროვნულ საკითხს.

## ბოლო-ცნობები

### რურის ოლქის ოკუპაცია

**მოწოდება საერთო გაფიცვისაკენ**

**ბერლინი**, 23 აპრილი. რეინ-ვესტფალიის ოლქის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების საოლქო კომიტეტი იწვევს 25 აპრილს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენელთა ყრილობას, ფრანგების მიერ ნახშირის ულუფების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ ზომების მისაღებად კომიტეტი აცხადებს, რომ ფრანგების ასეთ მოქმედებაზე უნდა ვუპასუხოთ მასიურ დემონსტრაციებით ან საერთო გაფიცვით.

**რკინის გზის ხიდის აფეთქება**

**ბერლინი** 22 აპრილი. ესსენის მახლობლად უცნობ პირების მიერ აფეთქებულია რკინის გზის ხიდი.

**ბერლინი** 24 აპრილი. ბერლინის გაზეთი იხილავს რურის ოკუპაციის უნაყოფობას და სხვათა შორის სწერს: „რურის ოკუპაციის ეკონომიური უნაყოფობა შეუძლებელია აიწეროს. ამ უნაყოფლობას შედეგად მოყვა ის. რომ მთელი ევროპა დაზარალდა“.

**საფრანგეთის ჯარისკაცების სოლიდარობა გერმანიის მუშებთან**

**ბერლინი** 24 აპრილი. „იუმანიტეს“ ცნობით აუარებელი წერილები, რომელიც მოდის რურში მყოფ საფრანგეთის ჯარისკაცებიდგან, მოწმობენ იმას, რომ საფრანგეთის რურის საოკუპაციო ჯარებში დაწყებულია ძლიერი დუღილი: ყაზარმებში დანაწილებულნი პატიმრები დიდ თანაგრძნობას იწვევენ ფრანგ ჯარის კაცებში, რომელნიც იზიარებენ კომუნისტების შეხედულებას, რომ საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატის ინტერესები ერთი და იგივეა.

**ბერლინი** 24 აპრილი. მთელი ოკუპაციის დროის განმავლობაში ფრანგებმა შესძლეს ამოღება მხოლოდ ნახევარ მილიონამდე ტონი ნახშირის და კოკსი ყოველ დღე ახერხებენ, 4000-დან 7000-დე ტონის გაზიდვას. მაშინ, როდესაც ოკუპაციამდე გერმანია აწოდებდა საფრანგეთს 60 ათასამდე ტონს ნახშირს ამ ცნობებს ადასტურებს „ეილ-მეილის“ კორესპონდენტი, რომელიც ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ რურის ოკუპაცია დღემდე დაჯდა 3 მილიონი ოქრ. მარკა, მასთან ნახშირის ამოღება 10-ჯერ ნაკლებია, ვიდრე შეიძლებოდა რომ ოკუპაციისთვის არ მიემართნათ.

### ლოზანის კონფერენცია.

**პარიზი** 23 აპრილი. გაზეთ „მატენის“ თანამშრომელის ზაურვესნის აზრით თუ ლოზანას კონფერენციას არ დაესწრო ამხ. ჩიჩერენი, კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდება. ზაურვეინი ფიქრობს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ბევრათ იქნება დამოკიდებული ოსმალეთთან მოლაპარაკების შედეგებზე.

**მოსკოვი** 24 აპრილი. ლოზანაში გამგზავრების წინ ისმეტ-ფაშამ ოსმალეთის პოლიტიკის ამოცანების შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა; „ოსმალეთმა ომის დროს თავისი უფლებების დასაცავად დახურა სრუტეები, ახლა ის თანახმაა სრუტეების გახსნაზე არა იმიტომ, რომ არ შეუძლია მათი დაცვა, არამედ იმიტომ, რომ ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს ინტერესებით“.

**ანგორა** 20 აპრილი. გაზეთი „კაკუფი“ ათავსებს საუბარს ინგლისის წარმომადგენელ რუმბოლდთან, რუმბოლდის აზრით, ლოზანას კონფერენციაზე მოსალოდნელია დიდი დაბრკოლებები რუმბოლდის აზრით სტამბოლის ევაკუაციისათვის დრო კიდევ არ დამდგარა.

**ლონდონი** 23 აპრილი. 23 აპრილს ლოზანაში განახლდა მოლაპარაკება ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის. დელეგატების უმრავლესობა უკვე ჩამოვიდა შვეიცარიაში. ინგლისის დელეგაციას ხელმძღვანელობს რუმბოლდი, საფრანგეთისას—გენერალი პელლე, იტალიისას—მონტანია, ამერიკის წარმომადგენელია—გრიუ. ოსმალეთის დელეგაციას მეთაურობს ისმეტ-ფაშა და რიზა-ნური-ბეი.

**პარიზი**. 23 აპრილი. იუწყებიან, რომ ლოზანას კონფერენცია უკვე გაიხსნა. გენერალი პელლე ესაუბრა ინგლისის, იტალიის და ოსმალეთის წარმომადგენლებს.

### ომის ლიგა

**ბერლინი**, 25 აპრილი. ამერიკის სენატორმა ბორამ განუცხადა ლორდ სესილს, რომ ერთა ლიგას პოზიციის გამო გერმანიის და საბჭოთა რუსეთის მიმართ, ამერიკაში გაძლიერდა ოპოზიცია ლიგის წინააღმდეგ. ამერიკის ხალხს ეჭვი არ შესდის იმაში, რომ ერთა ლიგა წარმოადგენს არა მშვიდობიანობის, არამედ ომის ლიგას.

**მთავრობის კრიზისი იტალიაში**

**რომი**, 25 აპრილი. კათოლიკური სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომის შემდეგ, გადამდგარმა მინისტრებმა გადასცეს მუსოლინს ფრაქციის რეზოლიუცია. მუსოლინმა უპასუხა, რომ ფრაქციის დადგენილებას არ შეუძლია შესცვალოს ტურინის კონგრესის გადაწყვეტილება, რომელიც ატარებს ანტი-ფაშისტურ ხასიათს. უკანასკნელი აიძულებს მას მიიღოს გადადგომა და არ გაუწიოს ანგარიში ფრაქციის გადაწყვეტილებას.

**რომი**, 25 აპრილი. რომის პრესა ფიქრობს, რომ გაუქმებული იქნება ის სამინისტროები, რომელთაც სათავეში ედგნენ კათოლიკური სახალხო პარტიის გადამდგარი წევრები.

**ინგლისის პოზიციის გარშემო**

**პარიზი**, 21 აპრილი. კერზონის სიტყვის გამო ლორდთა პალატაში „ეკო-და-პარი“ სწერს: „საფრანგეთი თავის უფლებათ მიიჩნევს ინგლისთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას, უკეთუ ის დაჟინებით დაადგება უაზრო მეთოდების გამოყენების გზას„

**პარიზი**. 24 აპრ. გუშინ ლოზანის კონფერენციის გახსნისას სხდომაზე გამოვიდა ამერიკელი ელჩი ბერნში—გრიუ, რომელმაც სთქვა: „ამერიკას არ შეუცვლია თავისი პოზიცია, ის არ მოაწერს ხელს მოკავშირეთა და ოსმალეთის ხელშეკრულებას, მაგრამ ამერიკის დელეგაციას აქვს სრული რწმუნება ამერიკის ინტერესების დასაცველად.

**ბერლინი**. 25 აპრ. შვეიცარიის პრესის ცნობით, საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ოსმალეთის დელეგაცია ლოზანას კონფერენციაზე დაა-

ხლოვებით იმავე პოზიციას დაიკავებს, როგორიც მას ეჭირა თებერვალში, ლოზანაში გამგზავრების წინ.

**პარიზი.** 25 აპრ. ლოზანის კონფერენციაზე შექმნილია 3 კომისია პირველი—პოლიტიკურ საკითხებისა და ოსმალეთის უფლებრივ რეჟიმის საკითხის მომწესრიგებელი კომისია, ამ კომისიას თავმჯდომარეობს ინგლისის დელეგატი რუმბოლდი, მეორე კომისიაში თავმჯდომარეობს გენერალი პელე (საფრანგეთის დელეგატი). ეს კომისია იმუშავებს ფინანსიურ და სანიტარულ საკითხებში. მესამე კომისიაში თავმჯდომარეობს იტალიელი დელეგატი მონტანია. ეს კომისია განაგებს ეკონომიურ საკითხების იმ ნაწილს, რომელიც ეხება ოსმალეთის სავაჭრო რეჟიმს.

**პარიზი.** 25 აპრ. პირველ კომისიაში განხილული იყო რამოდენიმე სადავო საკითხი, დადგენილია ფრაკიისა და სირიის საზღვრების საკითხის გადადება. მესოპოტამიის საზღვრების შესახებ დადგენილია დატოვებულ იქნეს „სტატუსქვო" სანამ ინგლისი და ოსმალეთი არ შეთანხმდებიან. კუნძული მარკე, ტენიდოსის ახლო, ოსმალეთს გადაეცა.

**ნიუიორკი.** 21 აპრილი. ჩესტერი გამოვიდა ნიუიორკში ბანკეტზე სიტყვით, რომელშიაც ის იცავდა თავის კონცესიებს თავის სიტყვაში ჩესტერმა განაცხადა: ამ ჟამათ შეერთებულმა შტატებმა შესძლეს გვერდი აევლო ევროპის გავლენის სფეროსთვის, რომელიც ელობებოდა წინ ამერიკის კაპიტალს ახლო აღმოსავლეთში ჩესტერი ამტკიცებდა კაპიტულიაციის რეჟიმის გაუქმების აუცილებლობას ოსმალეთში.

**სამოქალაქო ომი ჩინეთში.**

**პეკინი.** 24 აპრილი. ბრძოლა კანტონთან, როგორც სჩანს, გრძელდება. ოფიციალურ ცნობების უქონლობა ამტკიცებს, რომ დღემდის უ-პეი-ფუმ ვერ მოახერხა სიუნიალსენის მოგერიება. შანხაიდინ მიღებულ ცნობების თანახმად, სუნიად-სენსა და ჩიკი-იანის, ჩემუ-ანის და იუ-ბანის პროვინციების წარმომადგენლებთან დაიდო საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც ხელს შეუშლის უ-პეი-ფუს გეგმის განხორციელებაში. ჩეხვანის პროვინციაში უ-პეი-ფუმ გაგზავნა გაფრთხილება, რომელშიაც წინადადებას აძლევს გაიყვანოს იქიდან ჯარები. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პროვინციის 70 მილ. მცხოვრებნი თითონ გარეკავენ მათ. საქმესთან გაცნობილ წრეებში ფიქრობენ, რომ თუ უ-პეი-ფუ ამ ჟამად მიაღწევს გამარჯვებას მაშინ გესთან ის მაინც დამარცხდება.

**პეკინი.** 23 აპრილი. უკანასკნელ ცნობების მიხედვით ჩენის ჯარები დამარცხდენ სუნიად სენთან. ჩენამ დაიხია კანტონის ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ფიქრობს დიდი ბრძოლის მიცემას, რადგან უ-პეი-ფუმ გაუგზავნა ჩვენს ახალი დამხმარე ძალები.

# ახალი ამბები

## საქართველოს წითელ ჯარში.

— **ავიო-დივიზიონში.** კლუბის მუშაობა ავიოდივიზიონში ბოლო ხან მიმდინარეობს სასურველ დონაზე. კლუბთან უკვე მოეწყო დრამსექცია, პოლიწრეები და სხ. ამხ. კალამკარევის და კეკიას ხელმძღვანელობით.

— **წარმოდგენა ჯარში.** წარსულ კვირას ცხენოსანთა კლუბში ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქმნა „თავისუფლების გმირები" რევოლ. პიესა 2 მოქმ. და „უბედური დღე"ვოდევილი 1 მოქ. სალამოს დაესწრო აგრეთვე გარეშე საზოგადოებაც.

— **ცენტრარმკლუბში.** კლუბში სასწრაფოთ ემზადებიან წითელ მაისის შესახვედრათ. გარდა კლუბის წარმოდგენისა, დღესასწაული გაიმართება ნაძალადევში ხუდადოვის ტყეში, სადაც წითელ-არმიელთ. ღია ადგილას აჩვენებენ რევოლიუციონურ სურათებს.

— **გაზ. „წითელი არმიელი".** ქართულ წითელ არმიის ორგანო „წითელი არმიელი" განიცდის უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას, რის გამო იგი ვერ გამოდის ყოველ დღიურად. მოთხოვნილება კი დიდია.

— **ჯამაგირების მომატება.** ქართულ წითელ არმიასთან არსებულ პოლიტგანყოფილების მოსამსახურეებს მოუმატეს ჯამაგირი.

ჯამაგირი მიემატათ აგრეთვე სამხედრო სხვა ნაწილებსაც.

— **თანხები განათლების განყოფილების თანამშრომლების ჯამაგირების უზრუნველყოფისათვის.** შინაგან საქმეთა კომისარმა დაუგზავნა ბრძანება ყველა სამაზრო, საქალაქო და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს; რომ თანახმად სრულიად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა წინადადება ეძლევათ მიიღონ ზომები; რათა თანხები, რომლებიც ეგზავნებათ განათლების განყოფილების თანამშრომლების ჯამაგირით უზრუნველყოფისათვის, არავითარ შემთხვევაში არ იხარჯებოდეს სხვა რამე საჭიროებაზე.

— **პროვინციის აღწერის გამო.** ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო აღწერის მოსახდენათ ზაფხულის თვეებში.

— **მოქალაქობრივ მდგომარეობის განყოფილებაში (ზაგსი).** ქ. ტფილისის მოქალაქობრივ მდგომარეობის განყოფილებაში იანვრის თვის განყოფილებაში მოხდა შემდეგი აქტების რეგისტრაცია; მამათა სქესის დაბადება—519, დედათა სქესის—350; სიკვდილი მამათა სქესის—131, დედათა —175; ქორწინება—451; განქორწინება—40; გვარის გამოცვლა—2. საერთო რეგისტრაცია—1668.

— **წარსული წლის ანგარიში მოქალაქობრივ მდგოიარეობის განყოფილებისა.** (ქალ. ტფილისი) მამათა სქესი დაიბადა—2451, დედათა—2000; მამათა სქესის სიკვდილი—2100, დედათა—1002; გვარის გამოცვლა—30; ქორწინება—3585, განქორწინება—566, საერთოდ—11739. ბორჩალოს მაზრაში: მამაკაცთა სქ. დაბადება—678, დედათა—565; მამ. სქეს. სიკვდილი—719, დედათა—465, გვარის გამოცვლა—2, ქორწინება—725, გაქორწინება—10, უკანონოდ შობილი—3, საერთოდ—3167.

— **საკომერციო სათამაშოები და კარტი.** თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საკომერციო სათამაშოების და კარტის მოწყობის უფლება ეძლევა წითელ ჯვრის საზოგადოებას, მთელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

— **სამოქალაქო მდგომარეობის აქტების დაზღვევა.** შინაგან საქმეთა კომისარიატმა შეიტანა სახალხო კომისართა საბჭოში ახალი პროექტი სამოქალაქო მდგომარეობის აქტების დაზღვევის შესახებ. თანახმად ამ აქტებისა, გადასახადისაგან თავისუფლდება სიკვდილის შემთხვევის, უკვალოდ დაკარგვის და კანონის გარეშე დაბადებულთა აქტების შედგენა. რაც შეეხება დაბადების აქტის შედგენას, გადასახადი—500 ათასი მანეთია, ქორწინების—3.000.000 მანეთი და ვადის შეცვლის—15.000.000 მანეთი.

— **რელიგიის წინააღმდეგ.** ქ. ტფილისის მეორე რაიონის მუშებმა, რიცხვით 2000 კაცმა, დაადგინეს დაიხუროს ყველა საყდრები და პირველ რიგში მისიონერების ეკლესია ანდრეევის ქუჩაზე. ეკლესიების მაგიერ გახსნილ იქნება სკოლები და კლუბები. მისიონერების ეკლესია იყო აღდგენილი ძველი, შავრაზმულ და შოვინისტურ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის სახსოვრად. იგი ყოველთვის იყო ცნობილი, როგორც კონტრევოლიუციის ბუდე, სადაც იმალებოდენ და იმალებიან მეფის ყოფილი მოსამსახურენი—შავრაზმელი ღვდლები და ჟანდარმები.

### ბირჟაზე.

— **ვალიუტის ოპერაცია.** ამ ბოლო ხანს ბირჟაზე საგრძნობლათ აიწია ოქროს ფასმა. უკანასკნელ საათს თავისუფალ მოთხოვნილებებისამებრ რუსის ოქროს თუმნიანი ... ამიერ-კავკასიის ბონებით. გაძვირდა აგრეთვე ოსმალური ლირაც. ბაზარზე ... რომელზედაც ფასები ემატება ოქროს კურსით. გაძვირებულია არა მარტო უცხოელი მანუფაქტურა, არამედ რუსეთისაც.

— **კონტრაბანდი საქონლით ვაჭრობის წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა კომისარის მოადგილემ ამხ. ტალახაძემ დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი ყველა მაზრების, ქალაქების და ავტონომიურ ერთეულთა აღმასკომებს: „ა. კ. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში იუწყება, რომ მაზრებში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მილიციის მიერ დაკავებული აქციზ გადაუხდელი საქონელი აღმასკომის მიერ დაბრუნებია პატრონს მისი სიღარიბის გამო.

ვინაიდან ამ უკანასკნელ ხანებში გავრცელდა კონტრაბანდი საქონლით ვაჭრობა, აქციზის ზედამხედველობა უძლური იქნება ასეთ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუ მიუხედავად არსებულ კანონისა, ადგილობრივი ხელისუფლება ხელს არ უწყობს მას ამ საქმეში.

რათა შემდეგში აცილებულ იქნეს ასეთი მოვლენა მოგიწერთ მიიღოთ სათანადო ზომები, რათა ისეთ შემთხვევებში, როდესაც მილიციის მიერ იქნება დაკავებული აქციზ გადაუხდელი საქონელი, იგი უნდა გადაეცეს სათანადო ოქმებით ადგილობრივ აქციზის თანამშრომელთ.

— **თემის აღმასკომების შესახებ.** ამავე კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარი ყველა სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეებს, სადაც წინადადებას იძლევა დაუყონებლივ წარმოადგინონ ცნობები თემის აღმასკომის პირადი შემადგენლობის შესახებ.

# ზოჭი ფაჩ

## ფერეიდანის ქართველები.

სულ რაღაც 2—3 თვის წინად ტფილისში ფერეიდანელ ქართველების წარმომადგენლის სეიფოლა იოსელიანის სტუმრობა. როგორც ეს ჩვენა გვჩვევია, გადავარდით დიად სურვილების უფსკრულში.

ფერეიდანელ ქართველებს ცამდის სიკეთეს დავპირდით და ამით გათავდა ყველაფერი თანახმად ქართულ ტრადიციებისა. და ეს განა გვეპატიება? ფერეიდანელ ქართველებზე მზრუნველობა ახლო წარსულში უაღრესად ძნელი და დიპლომატიურ ჯადოსნობასთან იყო დაკავშირებული. ამ დროში კი ეს დაბრკოლება, თუ მთლად არა, თვალსაჩინოდ მაინც არიდებულია. ამ მოკლე დროში მოხდა საქართველოსთვის დიდი ისტორიული აქტი ქართველ უდინების გადმოსახლება. ვფიქრობდით, რომ ფერეიდანელი ქართველებიც გახდებოდენ ჩვენი მზრუნველობის ღირსნი. მაგრამ ასე არ მოხდა. საქმე სეიფოლა იოსელიანისადმი მიმართულ პათოსიან სიტყვებით გათავდა. მაგრამ დანაშაულობას გამოსწორება უნდა, მასწავლებლები, ექიმები და აგრონომები უნდა ისწრაფვოდენ ფერეიდანისაკენ, ... დიდი ისტორიული საქმე იქნება. ქართველმა საზოგადოებამ გულთან ახლოს უნდა მიიღოს ფერეიდანის ქართველთა საჭიროებანი, გამართოს ფერეიდანის ქართველთა ხელის გაწოდების კვირა. მე-20 საუკუნეში ფერეიდანის ქართველთა ასე დავიწყება და მათდამი ასეთი გულცივობა შეუწყნარებელია. ჩვენ მოვალენი ვართ ამ მიმართულებით გულგრილობის რუბიკონი გადავლახოთ და ფერეიდანელ ქართველებს ძმობა გაუწიოთ. ეს არის ისტორიული ერთერთი დავალება ჩვენი თაობისადმი. ყველამ მოვიღოთ ჩვენი წვლილი, წიგნი, გაზეთი, მედიკამენტი, სამეურნეო იარაღი, აი რა სჭირია ამ ჟამად ფერეიდანელ ქართველებს. მივაწოდოთ მათ ზემოაღნიშნული ნივთები.

ფერეიდანელ ქართველთაგან შველის მისაღებად გამოწვდილ ხელს ნუ გაუშვებთ ჰაერში, იგი დავტვირთოთ ძმურად გაღებული ძღვენით.

**ირ—დი.**

# ჩვენი სკოლა.

ქ. ქუთაისის და მისი მაზრის ტეხნიკუმების და შრომის სკოლების გამგეთა მეორე ყრილობა.

1923 წლის 24 მარტს სალამოს 6 საათზე სხდომა გაიხსნა ქუთაისის მაზრის განათლების გამგის პოლიკარპე ბახტაძის თავმჯდომარეობით. კრებაზე გამოცხადდა ყველა გამგეები—სულ 78 კაცი. თავმჯდომარემ ყრილობას მიმართა სიტყვით. მან გაავლო პარალელი პირველ და მეორე ყრილობის შორის. მოაგონა კრებას ყველა ის საკითხები, რომლებიც იყო დასმული პირველ ყრილობაზე და აღნიშნა თუ რამდენათ არის იგინი გატარებული ცხოვრებაში. ეს საკითხები იყო ოთხი: 1) მატერიალური მხარე, 2) მოწესრიგება სასწავლებელთა შენობებისა, 3) მასწავლებელთა და მოწაფეთა გაწმენდა, 4) სკოლის იდეური მხარე და მასწავლებელთა გონებრივად ამაღლება.

პირველ საკითხის შესახებ მან განაცხადა, რომ ჩვენ ვიყავით კატასტროფიულ მდგომარეობაში და რომ იმ პირობებში დავრჩენილიყავით აუცილებლად გავქარწყლდებოდით. არავითარი საშუალება არ სჩანდა. ჯამაგირის მიღებას შემთხვეითი ხასიათი ჰქონდა. საჭირო იყო ისეთი ბაზის გამონახვა, რომელიც შეუწყობდა ხელს სკოლის ნორმალურ ცხოვრებაში ჩაყენებას. რუსეთში თავიდანვე იდეურ მხარეს აქცევდენ ყურადღებას. მასწავლებელთა შემადგენლობა ამ საქმის ირგვლივ მუშაობდა და ახალ პრინციპებს აყალიბებდა, მაგრამ ახალი პრინციპების გატარება სკოლის ცხოვრებაში შეუძლებელი შეიქმნა მატერიალური ბაზის უქონლობის გამო. ეს საკითხი იყო წამოყენებული მხოლოდ სრულიად რუსეთის მე-12 ყრილობაზე ამხ. ლუნაჩარსკის მიერ, რომლის მიზანიც იყო მატერიალური ბაზის გამოძებნა. ამის შემდეგ შესაძლებელი შეიქმნა განადგურებული სკოლების თანდათანობითი აღორძინება. ჩვენში კი შედარებით უკეთეს პირობებში დაიწყო სკოლის რეორგანიზაცია, რის გამოც ჩვენში სკოლას არ განუცდია ისეთი განადგურება მატერიალური მხრივ, როგორიც განიცადა რუსეთში.

1921 წელში უსისტემოთ ხდებოდა სკოლების გახსნა და მასწავლებლების დანიშვნა. 1922 წელში გამოირკვა, რომ სახელმწიფოს არ შეეძლო ამდენი სკოლის შენახვა და არც შესაფერად მომზადებული მასწავლებლების შოვნა, რისთვისაც 1922 წლის დასაწყისში დაიწყო შეკვეცა (შტატების შემოკლება) მაგრამ ეს შეკვეცა სწარმოებდა უსისტემოთ. განათლების კომისარიატმა განსაზღრული ულუფა მიიღო და ქუთაისსაც მისცა ათას ას ორმოცდაათი ულუფა, რის შემდეგაც განსაზღვრული რიცხვი მასწავლებლებისა ჩაირიცხა სახელმწიფო მომარაგებაზე, დანარჩენი კი გადირიცხა ადგილობრივ ხარჯზე. სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი მასწავლებლებიც არ იყვნენ კარგ პირობებში. ჯამაგირს ღებულობდენ ცოტას და იმასაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, რის გამოც სწავლის საქმეც ძლიერ შეფერხებული იყო. ეს სწავლება კი არა ფიქცია იყო. ქაღალდზე იყო აღნიშნული შტატი მასწავლებლებისა და მოწაფეებისა. მანკიროვკები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორც მასწავლებელთა, ისე მოწაფეთა შორის. ეს მოვლენა ჩვენ ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ, ვინაიდან არ არსებობდა არაფერი ისეთი რამ, რომელსაც შესძლებოდა ნორმალურ პირობებში ჩაეყენებინა სწავლის საქმე; მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება დაიწყო 1922 წლის მეორე ნახევრიდან. პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ პირველ სექტემბრამდე დაკმაყოფილდა ჯამაგირით სამასი მასწავლებელი, რომელთაც პირველ იანვრიდან არაფერი მიუღიათ გარდა ორი-სამი ფუთი ჭვავისა.

მეორე საკითხის—შენობების რემონტის შესახებ მაგარი ნაბიჯი იყო გადადგმული. მართალია ორი წლის განმავლობაში ყველაფერი არ გაკეთდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ბევრი რამ მოწესრიგდა და მოგვცა საშუალება, რომ სწავლა დაგვეწყო შედარებით მოწესრიგებულ შენობებში.

მესამე საკითხი—გაწმენდა მასწავლებლებისა და მოწაფეებისა. ამ ხანებში ისეთები ჩაეწერნენ მასწავლებელთა წრეში, რომელთა მასწავლებლად ჩათვლა ყოვლად შეუძლებელია. საჭირო იყო მათი გაწმენდა, მაგრამ უეცრათ ამის მოხდენა არ შეიძლებოდა, რისთვისაც გაერთიანდა თემის სკოლები. თემის ყველა მასწავლებლებმა მოიყარა თავი ერთ ოჯახში. ამას ჰქონდა ეკონომიური და უფრო-კი პედაგოგიური მნიშვნელობა. წინეთ თვითეულ სკოლაში იყო ერთი ან ორი მასწავლებელი, და არავითარი პედაგოგიური საბჭოს სხდომები არ ხდებოდა, ეხლა კი თემის თავებში დგას ერთი მომზადებული გამგე და მას ჰყავს 15—20 მასწავლებელი. მართალია ყველა გამგე არ არის სათანადოთ მომზადებული, რის გამოც ბევრ თემში არაფერი გაკეთებულა. ამნაირი შეჯგუფებით ჩვენ მოვიცილეთ თავიდან ორასამდე უვარგისი მასწავლებელი და ამანვე მოგვცა საშუალება, რომ მეორეთ მოგვეწვია გამგეთა ყრილობა, რადგანაც სამასი გამგის მოწვევა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. საჭირო იყო მოწაფეების გაცხრილვა, მაგრამ არ შეიძლებოდა პირდაპირ გამოგვეყარა სასწავლებლიდან, უნდა სხვა ზომა მიგვეღო. უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილი მე-7-ე ტეხნიკუმი ცუდ გავლენას ახდენდა მოწაფეებზე. ეს ტეხნიკუმი დაიხურა, დაინიშნა კომისია, რომელმაც გადაარჩინა მოწაფეები, იმადგან ღირსეული პირები იქნა მიღებული სხვა ტეხნიკუმებში, სხვები კი ჩამოგვცილდნენ. პირველი ნაბიჯი დისციპლინის შემოღებისათვის გადადგმულია, მაგრამ ეს არ კმარა, ჩვენ კლასს გარეთაც უნდა ვიფიქროთ მოწაფეებზე: მათ თავი უნდა მოუყაროთ ისეთ ადგილებში, სადაც ისინი ისევ ჩვენს გავლენის ქვეშ იქნებიან.

რაც შეეხება მეოთხე საკითხს—მასწავლებელთა განვითარებას—უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლობას უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში არ ეცალათ თვითგანვითარებისათვის სხვა და სხვა პირობების გამო, რამაც ძლიერ ჩამოაქვეითა მასწავლებლობა. ამის გამოსასწორებლათ მიღებულია ზომები. დაარსებულია სამეცნიერო კომიტეტი, რომელიც ჯერჯერობით ვერ აფართოებს საქმეს, მაგრამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია და შემდეგში იმედია უფრო გააფართოვებს. ზაფხულზე გახსნილი იქნება სამასწავლებლო კურსები, რომლებიც საჭიროების მიხედვით შეიძლება გავაგრძელოთ. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პედაგოგიურ ტეხნიკუმს, რომელმაც უნდა მოგვცეს კარგად მომზადებული მასწავლებლები. დასასრულ, ყურადღება უნდა მიგვექცია იმ ბავშვებისათვის, რომელნიც არიან 4—6 წლამდე, მათი სკოლაში მიღება არ შეიძლება და უხელმძღვანელოდ დადიან ქუჩაში. ასეთებისათვის გახსნილია საბავშო ბაღები ქუთაისში და ხონში. სამტრედიაში კი ამ დღეებში უნდა გაიხსნას.

ზევით აღნიშნული ოთხი კითხვა, რომელზედაც ჩვენ რამოდენიმედ პასუხი გავეცით, ისევ ჩვენს წინაშე სდგას თავისის სიგრძე-სიგანით. ჯერ ბევრი არაფერი გაკეთებულა, შემდეგში კი ბევრად მეტი უნდა გავაკეთოთ. შემთხვევითი მუშაობა სახიფათოა. ყველა გამგემ უნდა დაისახოს გეგმა, ჩონჩხი და ეცადოს მის ხორცის შესხმას. მატერიალურად ნახევრად მოწესრიგებულია საქმე და თანდათანობით უმჯობესდება. ეხლა შედარებით მასწავლებელმა არ უნდა სთქვას: „ამ პირობებში არ შეიძლება მუშაობა". წელს ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, კიდევ ბევრია გასაკეთებელი და გამგეებზეა დამოკიდებული სამუშაო გეგმის განხორციელება. აგრეთვე განზრახულია შრომის სკოლის კურსის გადიდება 2 წლით და ტეხნიკუმების კურსის შემცირება 2 წლით. უნდა გაიხსნას სპეციალური ტეხნიკუმები პედაგოგიური, გუმანიტარული და სხვა და არ უნდა დარჩეს იმ სახით, რომელნიც დღეს არიან, რადგანაც ისინი იგივე გიმნაზიებია სხვა სახელწოდებით. შემდეგი მოხსენება გააკეთა სამეცნიერო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ჯორჯიკიამ, რომელმაც გააცნო ყრილობას კომიტეტის წარსული და მომავალი მუშაობა. კომიტეტს მიზნად დაუსახავს სამი უმთავრესი საკითხის გადაჭრა. 1) პროგრამებისა და სხვა პედაგოგიური საკითხების განხილვა. 2) რეცენზიები სახელმძღვანელოებისა და საკითხავი წიგნების. 3) სანიმუშო გაკვეთილების მიცემა.

პროგრამა ჯერ არც განუხილავს, რადგანაც საჭირო იყო სადაო საკითხების განხილვა და შემდეგ პროგრამის გადასინჯვა. რისთვისაც წაუკითხავთ მოხსენებები სხვა და სხვა საგნების სწავლების შესახებ, როგორც მაგალითად ფიზიკაში და სიტყვიერებაში. მოხსენებების წაკითხვა ჯერ დაუსრულებელი არ არის.

კომიტეტს განუხილავს სარეცენზიო წარმოდგენილი ორი წიგნი, 1 სახელმძღვანელო და ერთი თარგმანი.

სანიმუშო გაკვეთილები ჯერ არ მოუწყვიათ და ახლო ხანში მოეწყობა და გამოითქვა სურვილი, რომ მასწავლებლებმა თვითონ განაცხადონ სურვილი სანიმუშო გაკვეთილების მიცემისა.

სხდომა დაიხურა სალამოს 8 საათზე. 25 მარტ. სხდომა განახლდა დილის 9 საათზე. დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან: საერთოდ ღირსეული გამგე თავის სიტყვაში აღნიშნავდა, რომ წელს შედარებით სწავლა ინსტენსიური სწარმოებს, ყველა საკითხები, რომლებიც წამოიჭრა პირველ ყრილობის დროს გამგეებს მიუღიათ მხედველობაში და ცდილობენ მის განხორციელებას. სწავლის ნორმალურად მსვლელობისათვის ცხადია საჭირო იყო განადგურებული სკოლების შეკეთება, რაზედაც თითქმის ყველა გამგეს უზრუნია და ბევრი რამ გაკეთებია. ზოგიერთ თემებში უწარმოებიათ სანიმუშო გაკვეთილების მიცემა. ხშირად ყოფილა მოწყობილი სკოლებში სხვა და სხვა ლიტერატურული და ისტორიული ნაწარმოების გმირების გასამართლება; უკითხავთ ლექციები, მოუწყვიათ წარმოდგენები და ლიტერატურული სალამოები. მუშაობა კი არის დაწყებული, მაგრამ როგორც საერთოდ ყველა გამგე აღნიშნავდა სახელმძღვანელოები, ჟურნალები და სხვ.

# სრულიად საქართველოს პირველი სამალარიო ყრილობა.

### პირველი სხდომა.

ორშაბათს აპრილის 23-ს დედა-ქალაქში შუადღის 12 საათზე გაიხსნა უნივერსიტეტის ბაქტეროლოგიურ კათედრის დარბაზში სრულიად საქართველოს პირველი სამალარიო ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან 40-მდე დელეგატი და აუარებელი ქართველი საზოგადოება; სტუმრებთ შორის უმეტესად სტუდენტი ახალგაზრდობა იყო. ყრილობას ხსნის ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების და ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე პროფესორი გ. ღამბარაშვილი, რომელიც მოკლე, მაგრამ შინაარსიან სიტყვით ულოცავს ყრილობის დელეგატებს ამ ისტორიულ და ღირს შესანიშნავ დღის მნიშვნელობას ქართველ ერის ციებცხელებისაგან დასახსნელად და განსაკურნად. იგი აღნიშნავს საქართველოში სამს მომენტს ავადმყოფობასთან ბრძოლისას, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს და დასძენს, რომ ტუბერკულიოზი, მალარია და ხელოვნური მუცლის მოშლა თანამედროვე მატერიალურად გაჭირვებულ მდგომარეობაში დიდს ეროვნულ საშიშროებას წარმოადგენს. მალარიის მოსპობისათვის საჭიროა საქართველოში 12.000 კილო ქინაქინა, რასაც სრულიად მოკლებული ვართ. შემდეგ იგი ეხება მუცლის მოშლას, ტუბერკულიოზს და საჭიროდ სთვლის მისთვის მორიგ ყრილობის მოწვევას. იგი უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. მის სიტყვას ტაში ჰფარავს და შემდგომ ყრილობა პრეზიდიუმის წევრთ ირჩევს, თავმჯდომარეებათ პროფესორ გ. ღამბარაშვილს, პროფ. ალ. ალადაშვილს, პროფ. სპ. ვირსალაძეს, ექ. კ. ლორთქიფანიძეს, (აღმოსავ. საქართ.) ექ. გ. ავალიშვილს და (დასავლ. საქართ.) გ. ჯორჯიკიას, მდივნებათ: ექიმებს ზ. მაისურაძეს, ვ. ვარაზაშვილს და ბ. ოქროპირიძეს.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ ულოცავენ საქართველოს ორგანიზაციები და სხვა და სხვა დაწესებულებანი. პირველი მისასალმებელი სიტყვა ეძლევა საქართ. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფესორ ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის სახელით.

ბ-ნებო, ეს პირველი ყრილობა, რომელიც იხსნება დღეს, არის ქართველი პირველი სამეცნიერო ყრილობა და მე ბედნიერათ ვსთვლი თავს მოგილოცოთ ქართულ უნივერსიტეტის სახელით! ბევრი ყოფილა ყრილობა, მაგრამ ეს ყრილობა პირველია საქართველოში, რომელიც ქართველ ერის დაავადებულ სხეულს განკურნებს და მის ისტორიულ მტერს-ციებ-ცხელებას შეებრძოლება.

ისტორიულად ციებ-ცხელების შესახებ ძველი ცნობები მოგვეპოვება. მე-V საუკუნის ისტორიკოსი იაკობ ხუცესი მოგვითხრობს, რომ „პირმშვენი და გაყვითლებული იყო ეს ხალხი და მოხუცებულნი იგი არ იყვნენ ამ ქვეყანასა ზედა“.—ეს ისტორიული მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა შორეულ წარსულ ავადმყოფობასთან გვაქვს საქმე საქართველოში, ციებ-ცხელებასთან.

მე-IX საუკუნეში გერმანელი მეცნიერი მოგვითხრობს, რომ დასავლეთ საქართველოში სრულიად ჯანმრთელი ხალხი არ მოიპოვებაო.

მე-XVII საუკუნეში ვინმე მოგზაურის წერილში არის აღნიშნული, რომ სამეგრელოში „მოხუცი კაცი არ მოიპოვებაო და გავრცელებულია ძლიერ ნველებაო“. ჩემი აზრით ეს უეჭველათ ჰლექიც უნდა იყოს, მალარია და ტუბერკულიოზი არის ეროვნული სენი და დღევანდელი ყრილობა არის დროული, რომ გამომუშავებული იყოს სათანადო ზომები მათთან საბრძოლველათ. ჩემის აზრით უნდა იყოს მოწვეული მეორე სამეცნიერო ყრილობა, რომელიც „ღვინის სმელობას“ გაუწევს ბრძოლას (ლოთობას). ეს ისეთი უდიდესი სენია ქართველი ერისათვის, როგორც მალარია და ტუბერკულიოზი. ფიზიკურად მოდუნებული ორგანიზმი და გონება დაკარგული „ღვინის სმელობისაგან“ (ლოთობისაგან) უფრო ადვილად გადაეყრება ყოველგვარ სენს, ვიდრე ფხიზელი და ჯანმრთელი ადამიანი“.

არის კიდევ ერთი სენი, რომლის ბაცილა არ არსებობს—ეს არის ხალხის კვება, კარგად მოგეხსენებათ, თუ რა მცირეთ იკვებება ჩვენი ხალხი, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, სადაც ხალხი სიმშილს განიცდის და იქ ყოველგვარი სენი ადვილათ იკიდებს ფეხს. თქვენ ხშირად გიხდებათ გაძლიერებული კვების დანიშვნა, მაგრამ ავადმყოფის ხელმოკლეობის გამო, ვერ შეუძლია ეს დანიშნულება შეასრულოს, ამ მოვლენასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და საჭიროა ბრძოლა. ბოდიშს ვიხდი რჩევისათვის,—ამბობს პატივცემული პროფესორი,—მაგრამ როგორც ისტორიკოსი ისეთივე გრძნობებით ვარ აღჭურვილი, როგორც თქვენ ექიმები. ყველაფრის გაკეთება ერთბაშად არ შეიძლება, მაგრამ სადაც სიყვარული და ცოდნაა—იქ ეს დაბრკოლებაც აღარ არსებობს. ეს ყრილობა არის პირველი საქართველოში, ამ ყრილობას მოყვება მრავალი სხვა, ამ ყრილობებზე შეისწავლით საქართველოს სინამდვილეს და გისურვებთ გამარჯვებას ჩვენი ერის ამ სენისგან დასახსნელად!

ტაშის გრიალს არ ქონდა დასასრული.

შემდეგ სიტყვას ამბობს ბუნების მეტყველთა საზოგადოების სახელით პროფ. ალ. ჯავახიშვილი, საექიმო ფაკულტეტის სახელით პროფ. ალ. ალადაშვილი, ჯანმრთელობის კომისარიატთან არსებულ სამალარიო სადგურის სახელით პროფ. სპ. ვირსალაძე, ჯანმრთელობის კომისარიატის სახელით ექ. სვ. ჯაფარიძე, რომელიც პირდება ყრილობას ყოველგვარ დახმარებას ამ სენთან საბრძოლველად, კავკასიის ექიმთა საზოგადოების სახელით თავმჯდომარე ექ. მუხარინსკი, რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფ. სახელით ფეოდოროვი, რკინის გზის მთავარ საავადმყოფოს უფროსი ექიმი კირშენბლატი, სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის დავალებით თავმჯდომარე მ. მგალობლიშვილი, ბათომის ექიმთა სახელით სოლოვკინი, ტროპიკულ სნეულებათა განყოფილების წარმომადგენელი ბ. ოქროპირიძე, საბურთალოს რაიონის მალარიასთან მებრძოლ კომიტეტის თავმჯდომარე გ. მაღრაძე, ამავე საზოგადოების სახელით ს. გაჩეჩილაძე, ქუთაისის ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების და ყველა პროვინციელ ექიმთა დავალებით ექ. ვ. ლორთქიფანიძე და სხვა.

მილოცვების გათავებისას ყრილობამ გამოიმუშავა რეგლამენტი, რომლის ძალით დილის სხდომები ისაზღვრება 11 საათიდან 3 საათამდე, ხოლო საღამოთი 7 ნახ. საათ. 11 საათამდე. მდივანი ზ. მაისურაძე აქვეყნებს ყრილობაზე წასაკითხ მოხსენებებს:

1) სვ. კანდელაკი: „მალარია საქართველოში“ (ეპიდემიოლოგიური მიმოხილვა).

2) პროფ. ალექ. ჯავახიშვილი:—„გეოგრაფიული პირობები ციებ-ცხელების გავრცელებისა საქართველოში“.

3) პროფ. ს. ვირსალაძე:—„მალარიის პრობლემა“.

4) მ. მარუაშვილი:—„მალარიის პარაზიტიოლოგია, კლინიკა და მკურნალობა“.

5) შ. მიქელაძე:—„სისხლის წებოვნება მალარიის დროს“.

6) ნ. მახვილაძე:—„მალარიის შექცევები და მაკრაგამეტების შიზოგონია“.

7) მ. ასათიანი:—„მალარია და სულით ავადმყოფობანი“.

8) ვ ვარაზაშვილი:—„ძვლის ტვინი პატალოგიური და პარაზიტიოლოგიურ თვალსაზრისით მალარიის დროს“.

9) ბ. ოქროპირიძე:—„ჰემოგლობინური ციებცხელება“.

**მოხსენებანი ადგილებიდან:**

10) ექ. ლორთქიფანიძე—ქუთაისიდან,
11) ექ. ზახარიანცი—გორიდან,
12) ექ. სოლოვკინი—ბათომიდან,
13) ექ. ასათიანი—ახალციხიდან,
14) ექ. კალანდარიშვილი—ოზურგეთიდან,
15) ექ. შავერდოვი—კახეთი (სიღნ. მაზრა),
16) ექ. მიროტაძე — სურამიდან, „მალარიის მკურნალობა სურამის კლიმატიურ სადგურზე,
17) ექ. ჯორჯიკია—სენაკიდან,
18) ექ. აბულაძე—კახეთი (თელ. მაზ.)
19) ექ. ჩხოტარია—ზუგდიდის მაზრა,
20) ექ. ვ. მაჩაბელი—საბურთალო.

ამ მთელ მოხსენებათა დამტკიცების შემდეგ ყრილობა ისმენს სვ. კანდელაკის მოხსენებას—„მალარია საქართველოში“, რომლის ვრცელ ანგარიშს ხვალე დავბეჭდავთ.

პირველი სხდომა იხურება სრულ სამ საათზე.

## პატარა ფელეტონი

### სამალარიო ყრილობისათვის.

სიმართლე რომ მოგახსენოთ,
ფაქტები რომ ჩამოვთვალო,
უწინარეს თვალწინ მიდგა
დანგრეული საბურთალო!..
სასაფლაოდ გადაიქცა
მშვენიერი მინდორ-ვაკე.
ვინც არ მოკვდა, სულ გაიქცა,
არსადა სჩანს მოქალაქე!..
ჭაობისგან შმორი დადგა
აღარ ხარობს ხე და ვაზი
წარღვნაა, თუ შემოიჭრა
კვლავ მრისხანე შახჰაბაზი!?
ამისთანა სურათები
ბევრი არის ჩვენს მხარეში
მას აქეთ, რაც „მალარიამ“
იწყო ცეკვა და თარეში!..
კოღოებმა მთლად აიკლეს
საქართველოს ბევრი მხარე:
ავადმყოფებს მხოლოდ იხსნის
ბლომად ქინა-ქინა მწარე.
ექიმები თათბირობენ,
არხეინად წავლენ შინა...
ნეტავ ვისგან მოგვეცემა
განსაკურნად ქინა-ქინა?!

**მალიარიკი.**

---

უბრალო ფიზიკური კაბინეტებიც არ აქვთ, რაც ძლიერ აფერხებდა სწავლის საქმეს. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა თვით მასწავლებლებმაც კრიტიკულად დაუწყო ყურება თავის თავს. იყო ასეთი განცხადებები, რომ თუ მასწავლებელი პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას ის უფრო პატივცემულია ხალხშიდაც და მოწაფეებიც ბლომად ყავს და არც აკლდებიან გაკვეთილებს, მიუხედავათ სხვა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზებისა. სულ წინააღმდეგს ვხედავთ თუ მასწავლებელი გულცივად ეპყრობა თავის მოვალეობას. აგრეთვე გულახდილად აღიარებდენ, რომ მასწავლებლობა ჩამოქვეითდა, სრულიად დაბეჩავდა და ყველა გამგეს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სამასწავლებლო კურსების დაარსება და ლექციების მოწყობა. გამგეები აგრეთვე აღნიშნავდენ, რომ შარშანდელმა წელმა დიდი ზიანი მიაყენა სწავლის საქმეს და მიუხედავათ მასწავლებელთა მედგარი მუშაობისა სასწავლო პროგრამის დასრულება უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელი ხდება.

უმეტეს ადგილას დიდ დახმარებას უწევენ თემის აღმასკომები სკოლებს, მაგრამ არის ბევრი ისეთი შემთხვევაც, რომ თემის აღმასკომები არა თუ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სკოლის საქმეს, პირიქით სრულებით არ სთვლიან საჭიროდ ამ საქმეს.

ადგილებიდან მოხსენებები დასრულდა 26 მარტს ნაშუადღევის 2 საათზე რის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა სთქვა განათლების განყოფილების გამგემ პ. ბახტაძემ და აღნიშნა, რომ გამგეებს კიდევ ვერ გაურკვევიათ განსხვავება ჩვენი ახალი სკოლისა ამერიკულისა და გერმანული სკოლებისაგან, ის შრომის სკოლა, რომელიც განათლების კომისარიატს აქვს წარმოდგენილი ძირითადად განირჩევა ამირიკულ და გერმანულ სკოლებისაგან. სკოლა სარკეა ცხოვრების, რისთვისაც ყოველივე ის რაც ხდება უნდა იყოს ჩაქსოვილი მის ცხოვრებაში. რაც ხდება არ არის უბრალო შემთხვევა. მას აქვს ღრმა ისტორიული ნიადაგი. ხუთი წლის განმავლობაში ისეთი რამეები მოხდა, რომელიც საფუძვლიანად ანგრევს ყოველივეს. ამ გარემოებასაც თავისი ელფერი აქვს, რასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთ ევროპაში კაპიტალისტური კულტურა ეცემა და ირღვევა, და თუ ეს ასე არის, სკოლამაც უნდა განიცადოს რეგრესი. რღვევა და აფორიაქება. მაგრამ იქ შრომის პრინციპების გატარება სკოლაში ძნელი შეიქნა, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება კაპიტალიზმს შრომის პრინციპებს, ფართოდ გაუღო სკოლას კარები ოქტომბრის რევოლიუციამ და მათი გატარება დაიწყო კაპიტალისტურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში არა ნორმალურია. ის გადმონერგილია სხვა ქვეყნებიდან. აქ დღემდის დარჩენილი იყო ფეოდალური ნაშთები, რომელიც სკოლისათვისაც განსაკუთრებულ პირობებს ქმნის. შესაძლებელია, რომ ჩვენ სავსებით ვერ შევსძლოთ ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ჩვენ ამ გზით წავალთ და ვეცდებით გავატაროთ.

ბოლოს წამოყენებული იქნა ორი რეზოლიუცია, პირველი გამგის მოხსენების შესახებ და მეორე კი ადგილებიდან მოხსენებების შესახებ, რომლებიც იყო მიღებული:

**რეზოლიუციები:**

1) ქალაქ ქუთაისის და მისი მაზრის ტეხნიკუმებისა და შრომ. სკოლების გამგეთა მეორე ყრილობამ, მოისმინა რა ქუთაისის მაზრის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოხსენება, სრულიად შეგნებულად იწონებს საერთო გეზს მუშაობისას და ღრმად არის დარწმუნებული, რომ ეს არის საუკეთესო გზა, რომელიც ჩააყენებს ნორმალურ კალაპოტში სწავლა-აღზრდის საქმეს და ხელს შეუწყობს ახალი სკოლის პრინციპების სკოლის ცხოვრებაში საჩქაროდ გატარებას. თავის მხრით კრება გულწრფელად ატიარებს, რომ მასწავლებლობა არ დაზოგავს თავის ენერგიას და გაიღებს მსხვერპლს ამ დიადი და მშრომელი ხალხის საკეთილდღეო საქმისათვის.

2) ქ. ქუთაისის და მისი მაზრის ტეხნიკუმებისა და შრომის სკოლების გამგეთა მეორე ყრილობამ, მოისმინა რა ადგილებიდან მოხსენებები, ღებულობს მხედველობაში, რომ მიმდინარე სამოსწავლო წელი არის დასაწყისი სკოლის აღორძინების დაწყებისა. ეს არის პირველი ნაბიჯი სკოლის ცხოვრების წინსვლელობისა. მოხსენებიდან აშკარათ გამოირკვა მრავალი ახალი დებულებები და პრაქტიკული ნაბიჯები, რომლების განხორციელებას ვალდებულია შეეცადოს ყოველი გამგე და მასწავლებელი.

ყრილობა გრძნობს, რომ ასეთ ყრილობებს მოაქვსთ დიდი სარგებლობა დროთა ვითარების გამო ჩამორჩენილ და სულიერად დაბეჩავებულ მასწავლებელთათვის და გამოსთქვამს სურვილს შესაძლებლობის ფარგლებში ხშირად ეწყობოდეს ასეთი ყრილობები.

ყრილობა დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

## მუშათა ცხოვრება

ამას წინედ გაზეთ „მუშაში“ წერილი მივიტანე დასაბეჭდად რომელიც შეეხებოდა ერთი, ორი, ანუ სამი ოთახის მქონე მეპატრონეებს. მაგრამ პატივცემულ გაზეთის ხელმძღვანელებმა ხელების გასავსავებით მიპასუხეს, რომ „ასეთ კერძო ხასიათის წერილებს არ ვბეჭდავთ“-ო. ახლა კი როგორც ვხედავ ამ „კერძო“ საქმის თაობაზე თითქმის ყოველ დღე წერილები იბეჭდება „ბინების საკითხის“ სახით. მასპინძლის გულუხვობა იმ ზომამდე ფართეა, რომ ამ „კერძო“ ხასიათის წერილებს მოწინავეებსაც კი უძღვნის. თუ რა „კერძო ხასიათის იყო“ ის აი თვით წერილიც.

მე მაქვს 1 სამილციო უბანში ორი ოთახი ისიც მოუთავებელი. მისი ძირის სართულში კი ორი თვალი სავაჭროთ სადუქნე ეს სადუქნეები წელიწადნახევარია ქ. ტფილ. აღმასკომმა გადაიტანა თავისზე მუნიციპალიზაციის სახით. მე დამრჩა მხოლოდ ორი ოთახი სადაც მოვთავსდი 6 სულისაგან შემდგარ ჩემის ცოლ-შვილით. ახლა გამომიცხადეს ქ. ტფილისის მეეზოვეთა კავშირმა, რომ „მეზობელ სახლის პატრონებთან შეამხანაგებით საერთო მეეზოვე უნდა იყოლიო და აძლიო ჯამაგირი თვეში ჯერ-ჯერობით ერთი მილიონი“-ო. სახლი რომელიც ნახევარი ეკუთვნის ფაქტიურად ქ. აღმასკომს მუნიციპალიზაციით და სხვა არავითარ შემოსავალს არ იძლევა მას მეეზოვის ჯამაგირს გარდა აქვს სხვა ხარჯებიც. აქამდე ვისაც არ სჯეროდა დღეს იმათთვისაც ცხადი გახდა რომ ყოველი ქარი, ნიაღვარი დიდი სეტყვა დიდ ზიანს აყენებს ეს ზიანი თუ მაშინვე არ შეკეთდა მეორე და მესამე ასეთი ზიანი იმდენად გადიდდება და გართულდება, რომ იგი ასეთ პატარა და ხელმოკლე პატრონისთვის შეუძლებელი გახდება შესაკეთებლად, რის შემდეგაც მოკლე დროში სახლი ნასახლარად გადაიქცევა. აი ჩემი ორი ოთახიც ემორჩილება ასეთ ბუნების ყოველ გვარ შედეგებს დაზიანებას, და რადგანაც მას სხვა არავითარი შემოსავალი არა აქვს იძულებული ვარ ჩემი ჯამაგირიდან დავფარო ეს ხარჯები ამას დაუმატეთ სანიტარულ ადმინისტრატიული მოთხოვნილებანი: როგორც მაგ. საანკეტო ფურცელი, სანიტარული რვეული საბინაო დავთარი, ქუჩის ფანრის განათება, ეზოს მოსუფთავება, ნაგვის გადაყრა, სხვა და სხვა შეკეთებანი (სულ მცირედ თვეში ათი კრამიტის გამოცვლა სჭირდება ახლა თითო კრამიტი 60 ათასი მანეთია) ყოველივე ეს თვიურად მოდის ერთი მილიონი ეს ფული კი ჩემი ჯამაგირიდან უნდა გავისტუმრო. მე ვმუშაობ რესპუბლიკის მთავარ საარქივო სამმართველოში მარტამდე ვღებულობდი თვეში ჯამაგირს ორ მილიონ მანათს მარტიდან კი ხუთ მილიონს (რაც მშვიდობიან დროის ფულის კურსით უდრის 4 მან.) განა შეიძლება მუშა წვრილშვილმა რომელიც ხუთი სული მის ხელს შესცქერის ორ ოთახში თვეში ორი მილიონი იხადოს მაშინ, როდესაც იმას თვეში ხუთ მილიონს აძლევენ? 6 სულის საკვებად სამი მილიონი გვრჩება დღევანდელს სიძვირეში სამი მილიონი ვერავითარ სასწაულს ვერ მოახდენს თუმცა მე სასწაულთ მოქმედების ძლევამოსილება არა დროს არ მჯეროდა და ვერც ამ სასწაულს დავიჯერებ. როცა ყოველივე ზემოხსენებული აუხსენი მეეზოვეთა კავშირს და ვსთხოვე გავენთავისუფლებინე, მან გესლიანათ მიპასუხა „ეგ რა ჩვენი საქმეა მეეზოვე კი გაისტუმრე და შენ თუნდ მშიერი მოკვდი“-ო. ნუ თუ არქივში მომუშავეა რომელიც დღეში შვიდ საათს მტვრის კორიანტელში უხდება მხრებზე მძიმე ტვირთით თაროებზედ და კიბეებზედ საქმეების ალაგებ-ჩამოლაგება და იქ თვეობით თუ წლობით დაგროვილ მტვერის წმენდა და ყნოსვა უჩენს ათასგვარ სენს, ეს სენი კი უდროვოთ მიაქანებს გიგანტიურის ნაბიჯით სიკვდილისაკენ ასეთი ადამიანები მუშები არ არიან? თუ არ უკიდურესი გაჭირვება სხვა რა მიიყვანს ადამიანს თვეში 4 მანეთის გულისთვის ამ აშკარა და ცხად სიკვდილთან ამ ჯოჯოხეთ სამუშაოზე.

თუ ვისმეს კი მართლა აინტერესებს სანიტარული და ჰიგიენური პირობათა დაცვა მათ რიცხვში მე უკანასკნელი არ ვიქნები და არც ზოგიერთა მოხეტიალე მუდამ მომთაბარე მეეზოვეზე, რომელიც „ვისი კომლიც მაღალია ის იმისი მაყარია“ ნაკლებ მესმოდეს ჰიგიენა სანიტარიის, ამიტომ მე შემიძლიან ვიყო იმ სახლის მომვლელიც და მეეზოვეც, სადაც მე ვცხოვრობ. ჰიგიენა სანიტარია მარტო გარეგანის თვალისათვის ხომ არ არის მისი დადებითი მნიშვნელობა შინაგან კეთილსაფუძვლიანობაზე უნდა არსებობდეს ასეთი კი ჩემთვის არ არსებობს ჩემი ბავშვების ქვედა საცვლებს იმდენი საკერებლები და ძენძები აკერია, რომ მეშინიან შიგ ვეფხვები არ გაჩნდნენ და ყოველ დღე ხმელა მჭადის ჭამით მუცელში კილიონჯი. მაშინ, როდესაც ჩემი ცოლშვილის შენახვა მიჭირს სად შევინახო მეეზოვეს ცოლშვილი? კარგი იყო, ვისზედაც დამოკიდებულია, მიაქცევდეს ასეთ თითო-ოროლა ოთახების პატრონთა მეტად შევიწროვებულ მდგომარეობას ყურადღებას და გაგვანთავისუფლებს მეეზოვეს ყოლისაგან· რაც შეეხება სისუფთავის დაცვას იგი საერთო წესით ჩვენგანაც მოითხოვოს და, თუ სხვა მოსაზრებით ეს შეუძლებელი იქნება მაშინ როგორც ქვედა სართულს ამ ორ ოთახსაც გაუკეთოს მუნიციპალიზაცია მე გამანთავისუფლოს ყოველგვარ ხარჯის და მოვალეობისგან და ქირა გადამახდევინე, ისე როგორც შეშვენის თვეში ხუთი მილიონის ამღებ წვრილ შვილ ოჯახს, რომელსაც სხვა შემომტანი არ ჰყავს.

**მუშა ვასილ ნაცვლიშვილი.**

## პარტიაში

შაბათს, 28 აპრილს ნაშუადღევის 3 საათზე ა/კ. ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში მომუშავეთა ადგილკომის ოთახში შესდგება ამავე დაწესებულებებში მომუშავე საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრთა საერთო კრება. ამხანაგები მოვალენი არიან გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

# სხვა და სხვა

**რურის კამპანია და „შიბერების“ გაკოტრება.** რურის კამპანია კარიერათ დაუჯდა მთელ რიგ შიბერებს, ე. ი. ხალხს, რომელთაც მოიგეს იმ კონიუნქტურით, რომელიც გამოწვეული იყო გერმანული ფულის განუწყვეტელი გაიაფებით და აგრეთვე იმ ქვეყნების, რომელთაც მსოფლიო ომში წააგეს. ბერლინში აღდგომის წინა დღეებში ბირჟაზე სულ იმაზე იყო ლაპარაკი, რომ ციმაკის ფირმა გაკოტრდა; ეს ფირმა ყველაზე მსხვილი იყო ბერლინში ძვირფასი ლითონების ვაჭრობაში, განსაკუთრებით ვერცხლისა. ამ ფირმის მეპატრონენი, ახალგაზდა კაცები, ჯერ კიდევ გასულ წელს უბრალო ნოქრები იყვენ, ხოლო უკანასკნელად კი, დოლარის უმაღლესი კურსის დროს, ისინი მილიარდების ქონების მეპატრონენი გახდენ. ახლა ეს ფირმა დოლარის დაცემასთან ერთად გაკოტრებულად არის გამოცხადებული და მისმა კრედიტორებმა 3 მილიარდ მარკაზე მეტი ზარალი ნახეს მის შემდეგაც კი, რაც ფირმის მფლობელებისაგან მათი კერძო ქონებაც კი მიიღეს ვალში, ე. ი. ვილლები, სპარსული ნოხები, ავტომობილები, ბრილიანტები და სხვა ძვირფასი ნივთები. ბერლინი დიდი ხნით არ იყო ამ ეფექტებით გახარებული. ბუდაპეშტში ახლა გაკოტრებულათ არის გამოცხადებული მსხვილი ხე-ტყის მოვაჭრე, რომელმაც დოლარის დაცემის გამო დაკარგა მაინც და მაინც „არადიდი“ თანხა—12 მილიარდი უნგრეთული კრონი. ეს შიბერი ისე კეთილშობილი არ გამოდგა თავის კრედიტორების მიმართ, როგორც მისი ბერლინელი წინამორბედი იყო. ის საზღვარგარეთ გაიქცა და თავის კრედიტორებს სავსებით ცარიელი სახლი დაუტოვა, რომელიც უნდა ითქვას, რომ მისი ბედის ვარსკვლავის ჩასვლამდე, უნგრეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის ხელმძღვანელთა შეკრების ადგილი იყო. ახლა მას ეძებს მთელი ქვეყნის პოლიცია და მეტად საინტერესოა მისი „განსაკუთრებული ნიშნები“, რომელიც ბუდაპეშტის პოლიციამ აცნობა ბერლინისას: „არაჩვეულებრივათ ელეგანტური და თვით დარწმუნებული ახალგაზდა კაცი, რომელიც თავის მანერებით საუკეთესო შთაბეჭდილებას ახდენს მის გარშემო მყოფებზე“.

# სასოფლო სამეურნეო ფრონტზე

ა. წ. შვიდ აპრილს (25 მარტს) შესრულდა სრული ორი წელიწადი საქართველოში „თესვის კამპანიის“ შემოღებიდან.

უკვე ორი წელიწადი მუშათა და გლეხთა ხელისუფლება დამკვრელი წესით ამაგრებს სასოფლო-სამეურნეო ფრონტს თავის პატარა საქართველოს რესპუბლიკაში.

ჩვენ მკითხველებისათვის საინტერესოა იცოდენ, რა მიიღო საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ფრონტზე მენშევიკებისაგან, და რას წარმოადგენს ეს ფრონტი ამ ჟამად ორი წლის მასზე ზრუნვის შემდეგ.

ნორმალურ დროში საქართველოში (აჭარის და აფხაზეთის გარდა) გლეხთა საკუთარი ძალებით ყოველ წლიურად ითესებოდა მარცვლეულით დაახლოებით 600.000 დესეტინა. 1921 წლის აპრილისათვის აშკარად გამოირკვა, რომ გლეხები საკუთარი საშუალებებით დასთესავენ არა უმეტეს 390—400 ათას დესეტინას. საბჭოთა ხელისუფლებამ ამას ყურადღება მიაქცია. მის მიერ დაარსებული ცენტრალური თესვის კომიტეტი და მაზრებში დამთესი კომიტეტი დამკვრელი წესით შეუდგენ (საერთოთ საქართველოში) პირველ თესვის კამპანიის ჩატარებას.

მიუხედავათ იმისა, რომ კამპანია დაიწყო ძალიან გვიან, მოხერხდა დაუთესავ არეს მნიშვნელოვნად შემცირება.

საერთოთ 1921 წელს ხორბლეული დათესილი იყო 166.000 დესეტ. მიწაზე, თუ არ ჩავთვლით კარტოფილის და ბოსტნეულის კულტურას იქნა დამზადებული და უფასოთ სესხის სახით დაურიგდა მცხოვრებთ 66.000 ფუთი სათესლე მასალა.

140.000 დესეტინა ამ წლის დაუთესავმა არემ მშვიდობიან დროსთან შედარებით, ერთის მხრივ და შემდეგ გვალვამ, რომელმაც მნიშვნელოვანად შეამცირა ჩვენი პურის მოსავალი, ხოლო ზოგიერთ ადგილებში სრულიად გაანადგურა იგი, მეორეს მხრივ თავს დაატეხეს ჩვენ რესპუბლიკას საქონლის შიმშილის საფრთხე: შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, დუშეთის, ახალქალაქის და სხვა მაზრების გლეხები უკვე 1922 წლის თებერვალში განიცდიდენ შიმშილს.

აქ მთავრობამ სალი ენერგიით, საშუალებათა დაუზოგავათ გაუწოდა დახმარების ხელი დამშეულ მცხოვრებთ, როგორც სურსათით, ისე სათესლე მასალით. აგრეთვე დამკვრელი წესით დამზადებულ იქნა საზღვარ-გარეთის ბაზარზე და სესხის სახით დაურიგდა მცხოვრებთ სათესლე ხორბლეულის საკმაო რაოდენობა. არ იქნა დავიწყებული არც წითელი არმიელი, არც მილიციონერი, არც პარტიული ამხანაგი, რომელთაც აქვთ მიწა, მაგრამ სამსახურის გამო თესვის დროს იმყოფებოდენ თავიანთ მეურნეობათა გარეშე არ იყო დავიწყებული არც ერთი გაჭირვებული.

„თესვის კვირეულში“, რომელიც ფართოდ და ყველგან აწყობენ პარტიული ამხანაგები, მათი მიწები დახნული იქნა და დაითესა მთავრობის მიერ გაცემულ სათესლე მასალით.

ამგვარად მთავრობის და კომპარტიის ძალღონით არა მარტო სრულიად აღარ დარჩა დაუთესავი მიწები, არამედ მრავალ მაზრებში, დათესილი არე 1922 წელს ბევრად აღემატებოდა ომამდე არსებულ დათესილ მიწებს.

მიწების სრული დათესვის და პურეულობის შედარებით კარგი მოსავალის გამო გასულ წელს თავისუფლად ამოისუნთქა ჩვენმა სოფელმა და კიდევ უფრო განმტკიცდა ამ ფრონტზე თვითეული მიწის მუშა.

1923 წლის დასაწყისში ჩვენ გვქონდა საბუთი დარწმუნებით გვეთქვა, რომ საქართველოში მოხდება ყველა მიწების დათესვა პურის კულტურით.

მიმდინარე თესვის კამპანიის მთავარი უპირატესობა წასული წლების წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ არა მარტო მაზრებში, არამედ ყოველ რაიონში მოიპოვება მთავრობის კარგი ხარისხის სათესლე მასალის სრულიად საკმაო რაოდენობა, ყველა გაჭირვებულთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელი მასალაც წინასწარ ურიგდება მთესველებს თესვის დაწყებამდე.

რათა ერთხელ და სამუდამოთ განმტკიცებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ფრონტი, მთავრობა ამ წლიდან აარსებს რესპუბლიკის თვითეულ მაზრაში მუდმივ სათესლე ფონდს, რომელსაც საფუძვლად დაედება მთავრობის სათესლე სესხი, 400.000 ფუთი, რომელიც დაურიგდა საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთ 1921—22 წელს და რომელიც ხალისით დაუბრუნდა მთავრობას ამ წლის თესვის დაწყებამდე.

ასეთი ფონდის არსებობა, ერთის მხრივ საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად ვიქონიოთ დათესილ არეს საჭირო რაოდენობა, და მეორეს მხრივ მისი მუდმივი გაუმჯობესებით, გადარჩევის, გამოცვლის და გაწმენდის საშუალებით შესაძლებელი გახდება გავაუმჯობესოთ ჩვენი პურების ხარისხი, და მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსავალი.

გარდა დათესვის საკითხისა, გასულ ორი წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე მიღწეულია დიდი წარმატება მელვინეობის, მებაღეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობის, ბამბის მოყვანის და სხვ. დარგებში, გაუმჯობესებულ თესლის სისტემატიურად გაცემის, მცენარეულობის წამლობისათვის მასალების და აპარატების შეღავათიან პირობებში გაცემის, სანერგე მასალის, კარგი ხარისხის აბრეშუმის თესლის და სხვა დარგების საშუალებით.

ევეცი.

# საუბარი გლეხთან

**პირველი სახალხო სახლი**

პირველად სახალხო სახლი დაარსდა ინგლისში 1882 წელს. ეს მოხდა ასე: მოხსენებულ წელს ინგლისში გამოვიდა რომანი ვალტერ ბეზანტისა **„ყოველი გვარისა და მდგომარეობის ადამიანები“**. ამ რომანში ისე საუცხოვოთ იყო აწერილი რაობა სახალხო სახლისა და უბედური ცხოვრება ქალაქის მუშა კლასისა, რომ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია ლონდონის საზოგადოებაში. ამით ისარგებლა მაშინდელმა ცნობილმა ფილანტროპმა ედმუნდ-ლეიკერრიმ მიმართა მოწოდებით საზოგადოებას—განვახორციელოთ ბეზანტის დიადი აზრით, ავაშენოთ მუშა ხალხისთვის სახალხო სახლით. მისმა მოწოდებამ ჰოხიერი ნიადაგი ჰპოვა ინგლისში და იწყო ედმუნდ-გეიკერრისთან შემოწირულებათა დენამ, მაგალითად: მემამულეთა ამხანაგობამ შესწირა 100.000 მანეთი, ერთმა საქველმოქმედო საზოგადოებამ—125.000 მან. მეორე შეჰპირდა ყოველწლიურად 25.000 მან. ლორდმა როზბერიმ თავს იდვა აშენება უდიდესი აბანოსი და საცურავი სკოლისა; ედმუნდ გინნესმა გააკეთა დიადი საზამთრო ბაღი, ღირსეული 90,0000 მან. და სხვა. ბოლოს დედოფალმა ვიქტორიამ თავს იდვა მფარველობა ახალი დაწესებულებისა და შესწირა 2000 მანეთამდე. ასე და ამ რიგად ორი წლის განმავლობაში მოგროვდა ერთი მილიონი მანეთი და 1887 წელს უკვე დიდის ამბით მოხდა გახსნა ამ სასახლისა დედოფალ ვიქტორიას და თვით მწერალ ვალტერ ბეზანტის თანადასწრებით.

სახალხო სასახლე აშენებულია ლონდონის ულარიბეს აღმოსავლეთ ნაწილში. მისასვლელი გზები ძალიან კარგი აქვს, გვერდზე გაუვლის ცხენის რკინის გზა და ასეთივე გზა თვით მიწის ქვეშ. უმთავრესი ნაწილი სახალხო სახლისა არის **„დედოფლის დარბაზი“** (19 საჟენი სიგრძით, 11 სიგანით და 8 სიმაღლით) და დანიშნულია კონცერტების, გამოფენების და გართობებისათვის ეტევა 2500 კაცი და მდიდრულათაა მორთული. დგას ვეებერთელა ძვირფასი ორგანო (საკრავია). ამ დარბაზის გვერდით არის ფართო სამკითხველო და წიგნთსაცავი. აქვე გვერდით სატეხნიკო სასწავლებელია და მასთან ლაბორატორია და სახელოსნო.

ამ სახალხო სასახლეს სამი მიზანი აქვს დასახული განსახორციელებლად: ა) **აღმზრდელ-სამხატვრულო.** ამას აღწევს; აწვდის ხალხს მცირე საფასით სხვა და სხვა სალ გასართობებს, რითაც აკეთილშობილებს მათს გემოვნებას და იწვევს მათში დახვეწილ მოთხოვნილებას მშვენიერებისადმი; ბ) **განმანათლებითი,**—უწყობს ხელს სახალხო განათლებას, უმთავრესად სატეხნიკო და საპროფესიონალოს; გ) **სოციალური,**—ანვითარებს საზოგადოებრივ გრძნობას კლუბების, კრებების და სალამოების გამართვით.

სასახლეში შესასვლელი ფასი სულ მცირეა: 5—10 კაპეიკად შემსვლელი დაათვალიერებს ყველაფერს. გარდა ამისა სახალხო სახლს ჰყავს 5000 მუდმივი წევრი ორთავე სქესისა, წევრებად იღებენ ახალგაზდებს 16—26 წლამდე; საწევრო გადასახადი 5 მანეთია მამაკაცზე და ამის ნახევარი ქალზე. ამათ სასახლეში შესვლისათვის ფული არ ხდებათ და ნება აქვთ ამორჩეულ იქმნან 20-მდი. ამ დაწესებულებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საზოგადოებებში (მაგ. დრამატიულ, სალიტერატურო, სამხატვრო, სამუსიკო, ფოტოგრაფიული, საგალობელთა, მცენარეთა, ახალგაზრდა ქალთა და სხვა). 13—16 წლის ყმაწვილებს ორი მანეთის გადახდით იღებენ უმცროს განყოფილებებში. ამ უმცროს წევრთა უფლებანი თითქმის იგივეა, რაც უფროსებისა და გარდა ამისა დაიარებიან უფასოთ მხატვრობის, სტენოგრაფიის და სხვა საგნების გაკვეთილებზე. კვირაში ერთხელ მათთვის იმართება კითხვები და თამაშობანი. სასახლეში მუდამ იმართება სხვადასხვა გამოფენები, ბაზრები (სურათების, ცხოველების, სახელოსნო ნაწარმოებთა, მცენარეთა დი სხვა), კვირაში ორჯელ კონცერტი, ორჯელ საორგანო კონცერტები, ინიშნება საგანგებო დღესასწაულები თითო კვირაობით, რომელნიც იზიდავენ თვისი გასართობებით 300,000 დამსწრეთ, უმეტესად ღარიბი კლასიდან.

გარდა სატეხნიკო სკოლისა (400 მოსწავლეა) სხვა და სხვა განყოფილებებით—სადურგლო, სამჭედლო, სამექანიკო, საქიმიო, სამხატვრო და სხვა, არის კიდევ დღიური და საღამოს ... დილთათვის 1—5 მანეთ ... საქალო ჭრა-კერვისა და ... კლასების გახსნის პირველსავე წელიწადს მოსწავლეთა რიცხვი 3700-მდე ავიდა.

საგიმნასტიკო დარბაზში, სადაც გადასახადი 75 კაპეიკი წელიწადში მამაკაცზე და 50 კაპ. დედაკაცზე, ბავშები კი უფულოთ სწავლობენ, ჩაეწერა 1500 მამაკაცი და 40 ახალგაზრდა ქალი. უდიდესი აბანო, საცურაო სკოლა, ვეებერთელა წიგნთსაცავი და სამკითხველო იზიდავს აგრეთვე ათასობით სწრეთ, დღეში არა ნაკლებ 9000 კაცისა, შემოდგომასა და უქმეებში კი ადის 6000-მდე. სასახლეში არის აგრეთვე იაფ-ფასიანი ბუფეტი საჭმელ-სასმელით. სასახლის ყველა დაწესებულებებში გადასახადია, მაგრამ მცირე. ინგლისში კანონათაა მიღებული, რომ ხალხისათვის მუქთი გასართობები და სწავლა-განათლების მიწოდება ნიშნავს ხალხის დამცირებას, დახშობას მასში დამოუკიდებლობის გრძნობისა და აგრეთვე ასეთი მუქთი სწავლა-განათლება და გასართობანი მიიზიდავენ ისეთს პირებსაც, რომელნიც ამ დაწესებულებებში სრულიად არ საჭიროებენ ან არაფასებენ და საქმეს კი ავნებენ....

ქვემოთ მოყვანილი ციფრები ცხადად გვიჩვენებენ იმ უდიდეს მნიშვნელობას, როგორიც სახალხო სასახლეს აქვს ლონდონში: პირველ საანგარიშო წლის ბოლოს (1890 წ.) სახალხო სასახლის დამსწრეთა რიცხვი იყო 1,500,000 კაცი, ამაში არ შედის მუდმივი წევრნი, მოსწავლეები და მათ ამ ხნის განმავლობაში, ანგარიშის სიტყვით, არ მომხდარა არც ერთი შფოთი და უბრალო წესრიგის დარღვევაც კი.

**ივანე როსტომაშვილ...**

# ხელოვნება

**რუსთველის თეატრი**

**„რომანი„ ალასა ქიქოძის ბენეფისი.** 22 ამ თვეს, რუსთველის თეატრში ალისა ქიქოძის ბენეფისის დღეს პირველად დაიდგა ჩვენს სცენაზედ „რომანი“. პიესის შინაარსისა და მნიშვნელობის შესახებ არას ვიტყვით. ეს პიესა საკმაოდ გამარჯვებულია და არა ერთხელ უხილავს იგი რუსულ სცენას. უნდა აღინიშნოს მხოლოდ, რომ ქართული ენის გამოთქმის შეცვლა ლირიულ მომენტებს კომიკურ ელფერს აძლევდა. მართლაც თუ მიღებული იქნება ასეთი გამოთქმანი, მაშინ შესწავლილი უნდა იყოს ყოველი სიტყვა და ისე უნდა გამოთქვას იგი, როგორც გამოთქვამს მას უცხოელი. აქ კი ეს არ იყო დაცული. ზოგი სიტყვა ისეთი იყო ნახმარი, რომელიც არა თუ უცხოელისათვის, რომელიც ამტვრევს ქართულს, არამედ ლიტერატურის ზედმიწევნის არ მცოდნესათვის არ იყო გასაგები, ხოლო ამავე დროს „ქუზის“ მაგივრად ხმარებულ იყო „პუზი“. და არა „ქუზი“, როგორც იტყვის ევროპიელი.

მიუხედავად ამ დეფექტისა, რაც ესტეტიურ განცდას ხელს უშლიდა, მობენეფისე ქალის ალისა ქიქოძის მოხდენილმა თამაშმა გამოისყიდა ნაკლი. ალისა ქიქოძე ნიჭიერი მსახიობია უეჭველად. მას აქვს თავისი როლები, რომელიც განსახიერებულია სისრულით. ამ წარმოდგენაში მან კარგად შეასრულა კავალინის მხიარული, მოძრავი ცხოვრება ერთი მხრივ და მისი სევდიანი მომენტები მეორე მხრით, ერთ შემთხვევაში იგი უმანკო ბავშვის ტიპს მოგვაგონებდა, გატაცებულს, მხიარულს, მეორე შემთხვევაში იგი სევდით მოცული ცხოვრებისაგან დამარცხებული პირია, რომელიც თავს გაანებებს დიდებას და საეხლს და მონასტერს მიაშურებს.

პასტორის როლს ასრულებდა გ. დავითაშვილი. იგი, როგორც ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა. მან მოგვცა პასტორის ტიპური სახე. ყოველი მისი ჟესტი, ყოველი მოძრაობა გამოხატავდა უდიდესი გრძნობის განცდას და დასასრულს კი ტრაგიზმს.

და ჩხეიძე სრულიად არ იყო თავის ადგილზე. იგი ყველაზედ უფრო სუსტი იყო მთელ პიესაში. არც ინტონაცია, არც დიქცია და არც გარეგნობა არაფერი არ იყო შესაფერი. დ. ჩხეიძე დამაკმაყოფილებელია „ცხვრის წყაროში“. საჭიროა, რომ მას ისეთი როლები არ დაეკისროს, როგორიც დაკვირას.

მ. ქორელი და ც. წუწუნავა, მიუხედავად როლის სიმარტივისა, პიესის განვითარებაში ქმედით სტოვებენ. სასურველია, რომ მ. ქორელი უფრო ხშირად ვიხილოთ ანალოგიურ როლებში.

დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდენ.

მობენეფისე მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს, მიძღვნილი ვარდებით ბაღი გადაიშალა სცენაზე.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება. ... იარუსების საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ მიხვდა, რომ იგი თეატრში იმყოფება. აუტანელი იყო ... მხრივ 22 ამ თვის სპექტაკლი. გაისმოდა რეპლიკები და ადგილი ქონდა ხმაურობას. საჭიროა თვით საზოგადოებამ ალაგმოს ასეთი პირები და წარადგინოს თეატრის ადმინისტრაციის წინაშე, სამაგალითოდ უნდა იქნენ დასჯილნი, ვინც ხელს უშლის პიესის მსვლელობას.

**სკამი ის. 48.**

რედაქტორი—სარედქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

**ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს**

**დაინტერესებულ პირთა საყურადღებოთ,**

რომ 1923 წ. 29 აპრილს დილის 10 საათზე აღმასკომის დარბაზში (№ 12)

**დანიშნულია შეჯიბრება**

აღმასკომისათვის 3000 კუბ. საჟ. მაგარი ხარისხის შეშის დამზადებაზე ფრანკო-აღმასკომის საწყობებში. შეშის ჩაბარება შეიძლება ნაწილობრივათაც.

განცხადების მიღება დაწვრილებითი პირობებით შეიძლება ა-წ. 29 აპრილამდე დაბეჭდილ პაკეტებში აღმასკომის კომენდანტის ოთახში № 22.

ყოველივე ცნობებს ამის შესახებ აძლევს აღმასკომის კომენდატურა.

**პრეზიდიუმი.**

№ 323—5—3

**საჯარო ვაჭრობა**

**ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, ა. წ. 30 აპრილს დილის 12 საათზე აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში**

**დანიშნულია საჯარო ვაჭრობა**

**ქალაქის ხუთი სასწორის**

(თათრის მოედ., დესიმონოვის მოედ., მალაკნის მოედ., ნუნუფაროვის და მუხრანის რინოკზე) იჯარით გასაცემად ცალკე პირზედ ან იურიდიულ უფლებით აღჭურვილ ამხანაგობაზედ.

ვაჭრობა დაიწყება 15,000 მანეთიდან ოქროთი ხუთივე სასწორზე წელიწადში, დაწვრილებითი კონდესიის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე აღმასკომში ოთახი № 50. 325 4—1

**დავკარგე** საბინაო წიგნაკი მე-11-ე უბნის ანიევის ქუჩა № 1. სახლის პატრონმა პორფილე ალექსის ძე თევდორაძემ საერთო № 4476, განყოფილება № 344. 413

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 224 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № ...